590/4-1/21 2 26012021

590/4-1/21
26-01-2021

ახალციხის მუნიციპალიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა სამთავრობო პოლიტიკა, სტრატეგიები და ადგილობრივი პოლიტიკა ქალებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. თემატური მოკვლევის ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება მოკვლევის მრავალმხრივი ჩართულობით წარმართულ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც წერილობითი მოსაზრებები, ისე - საქართველოს პარლამენტში გამართული ორი ზეპირი მოსმენის შედეგები და პროფესიულ განათლებაზე უკვე არსებული კვლევები.

ანგარიშში მოცემულია ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებაში ჩართული ქალებისა და კაცების თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებული არ არის (ქალები - 43%), გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ერთი მხრივ, პროფესიული განათლების სფეროში კაცებისთვის მთავარი დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტობა მათ არ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან და ამის გამო წვევამდელი ასაკის კაცები უარს ამბობენ პროფესიულ განათლებაზე (ან ფორმალურად არიან ჩარიცხული უმაღლეს სასწავლებლებში და პარალელურად ეუფლებიან პროფესიულ განათლებას), მეორე მხრივ, არსებული ბარიერების გამო ქალები არ ერთვებიან პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სისტემაში. აუცილებელია განვასხვავოთ 15-24 წლის გოგონებისა და ზრდასრული ქალების ჯგუფების განსხვავებული მდგომარეობა. ზრდასრული ქალებისთვის ბევრად ხელსაყრელია მომზადებისა და გადამზადების კურსები, მათი ხანგრძლივობიდან და დასაქმებისთვის საჭირო პროფესიის სწრაფად დაუფლების პერსპექტივიდან გამომდინარე.

მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური

ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.
3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.
4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას.
5. პროფესიული სასწავლებლებისთვის აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები), რათა უფრო მიმზიდველი გახდეს პროფესიული განათლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. ამასთანავე, მოკვლევის ფარგლებში შშმ ქალებისა და გოგონების მიერ გამოვლინდა ის სერვისები თუ პროგრამები, რომლებიც მათი ავტონომიურობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მიღწევას შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის. ასევე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

მოკვლევის ფარგლებში თქვენი უწყების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი სატრანსპორტო საშუალებები.
2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს

უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.
4. მუნიციპალური სპორტული დარბაზები მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.
5. ღია ცის ქვეშ არსებული მუნიციპალური სპორტული კუთხეები (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიღწეულია დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას.

დანართი:

(1) „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 37 (ოცდაჩვიდმეტი) გვერდი.

(2) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 70 (სამოცდაათი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

წერილის ნომერი: **12-1221036206**
თარიღი: **05/02/2021**
პინი: **9933**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

თქვენს მიერ გამოგზავნილი 590/4-1/21 26.01.2021 წერილის პასუხად გაცნობებთ:

თემა: **„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.**

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

- სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“-თან შეთანხმების საფუძველზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებულ ოცი საჯარო სკოლის მოსწავლეებს, სწავლის პერიოდში უზრუნველყოფს ტრანსპორტით გადაადგილებას.
- ასევე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს მასშტაბით კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეებს, (მოსწავლე-ახალგაზრდობა, შშმ პირები და სხვა) უზრუნველყოფს ტრანსპორტით;

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.

მუნიციპალიტეტის მერიის გენდერული თანასწორობის განყოფილების მხრიდან ხდება „ქალთა ოთახის“ კოორდინირება.

- ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები;

- საინფორმაციო საკონსულტაციო მომსახურება

- კეთდება ჩანაწერი კონკრეტულ პიროვნებაზე, ვიზიტორზე, ხდება პრობლემის იდენტიფიცირება, გასაუბრება და კონსულტაციის გაწევა.

მუნიციპალიტეტი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკის გაზიარებას.

3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და

ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტს დანერგილი აქვს სტიპენდიების პრაქტიკა, სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებზე (ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული). აღნიშნული პროგრამით დღეის მდგომარეობით სარგებლობს 43 სტუდენტი, რომლის ფარგლებშიც სემესტრულად გაიცემა სტიპენდიები - **„ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია წარმატებულ სტუდენტებს“**

4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი

სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის

პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ

მდგომარეობას.

მუნიციპალიტეტის მხრიდან, უფლებამოსილების ფარგლებში, სამომავლოდ მოხდება აღნიშნულის გათვალისწინება.

თემა: **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“.**

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის

ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების

შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი

სატრანსპორტო საშუალებები.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს არ აქვს მუნიციპალური ტრანსპორტი, სამომავლოდ, შესაძლებლობის ფარგლებში, მუნიციპალური ტრანსპორტის შეძენისას მოხდება აღნიშნულის გათვალისწინება

2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის

პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი.

მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების

შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს

უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების

ჩართულობა.

მუნიციპალიტეტში დანერგილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა გზების, საბავშვო ბაგა - ბაღების, საჯარო სკოლების, სპორტული მოედნების, ამბულატორიების და სხვა, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა, როგორიცაა: პანდუსების, ქუჩებში და სკვერებში განკუთვნილი გადასასვლელებისა და პარკირებების მოწყობა და ა.შ..

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.

ახალციხის მუნიციპალიტეტში 2018 წლიდან ფუნქციონირებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო“.

საბჭოს ხელმძღვანელობს მერის მოადგილე რუბენ კარაპეტიანი.

საბჭოს შემადგენლობაშია მერიის ადმინისტრაციული და იურიდიული, კულტურის , ინფრასტრუქურის სამსახურების უფროსები და თანამშრომლები, მერიის სოციალურ საკითხთა, გენდერული თანასწორობის განყოფილების ხელმძღვანელები, რეგიონალური სოციალური სააგენტოს თანამშრომელი, არასამთავრობო ორგანიზაციები: სამცხე ჯავახეთის რეგიონალური ასოციაცია „ტოლერანტი“, „მწვანე სახლი“ ახალციხეში, უსინათლოთა კავშირი სამცხე ჯავახეთის ფილიალი, ორგანიზაცია „თანადგომა შვილებს“ მათი ხელმძღვანელები, ასევე შშმ პირები და მათი მშობლები და მეურვეები.

საბჭოს სხდომებზე და შეხვედრებზე იკვეთება შშმ პირების საჭიროებები და პრობლემები და მუშავდება მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილებას აქვს სოციალური პროგრამები, რომლებშიც მაქსიმალურადაა გაწერილი ბენეფიციართა საჭიროებები:

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ მიხედვით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალური დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა დახმარებას მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის ყოველთვიურად 25-25 ლარს, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისათვის ყოველ კვარტალურად 50-50 ლარს

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები 1 ივნისს ბავშვათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ერთჯერადად გადაეცათ სოციალურ დახმარება 300 ლარის ოდენობით

- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანებს, ყოველთვიურად

დაერიცხათ კომუნალური და ყოფითი ხარჯების დასაფარად, მკვეთრად გამოხატულ პირებს - 75 ლარი, ხოლო მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ვეტერანებს - 40 ლარი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების დღესთან დაკავშირებით 200 და 250 ლარი შესაბამისი სტატუსის მიხედვით.

- 2020 წელს კოვიდ 19_ის გამო შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც გვიკავშირებოდნენ მოქალაქეები არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. მათი საჭიროებებიდან გამომდინარე შეიქმნა მოხალისეთა ჯგუფები, რომელთა დახმარებითაც სათნოების სახლის 110 ბენეფიციარს, 70 წელს გადაცილებულ მოხუცებს და შშმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ რისკ ჯგუფებს, შესაბამისი პირობების და ნორმების დაცვით ბინაზე ყოველდღიურად მიეწოდებოდათ საკვები.

  ბენეფიციარების შერჩევა მოხდა მათი სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებით შეძენილი იქნა სასურსათო პაკეტები და ჰიგიენური მოვლის საშუალებები, რომლის მიწოდება მათთვის ეტაპობრივად განხორციელდა.

- ქ.ახალციხის მე-7 საჯარო სკოლაში ტარდება მრავალი ღონისძიებები, ეწყობა სხვადასხვა კონკურსები, ნახატებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენები, მონაწილეებს და გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები

  ახალციხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან „თანადგომა შვილებს“, აღნიშნული ორგანიზაცია მუშაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესებსა და საჭიროებებზე. გენდერული საბჭოს ინიციატივით 2019 წ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღესთან დაკავშირებით „ქალთა ოთახში“ გაიმართა შეხვედრა ორგანიზაციის წევრებთან, ბენეფიციარებთან, მათ მშობლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. შეხვედრაზე გამოიკვეთა შშმ პირების საჭიროებები და პრობლემები რომელთა გათვალისწინებაც მოხდა შესაძლებლობის ფარგლებში.
  2019 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და ქ. ახალციხის N 7 საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა მხიარული სტარტები, პროექტის მთავარი მიზანი შშმ პირების მხარდაჭერა, გაძლიერება და მათი საზოგადოებაში ადაპტაცია იყო.
  გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის მერია და გენდერული თანასწორობის საბჭო ეხმარება ორგანიზაციას „თანადგომა შვილებს“ დღის ცენტრის ფართის მოპოვების და ფუნქციონირების მოგვარების საკითხებში.
  პატივისცემით,

ზაზა მელიქიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი